## იუბილე

# უმრავლოს საქართველოს ასეთი მამულიშვილები

### ნიკო მუსხელიშვილის საიუბილეო საღამო

**თავისუფლებისთვის** მებრძოლ ქართველ ერს იმდენი ჭირი და ვარამი დაატყდა ამ ბოლო დროს თავს, რომ იძულებული გახდა უკეთესი დროისათვის შემოენახა თავისი სასიქადულო შვილების იუბილეების გადახდა. რაოდენ სასიხარულოა, რომ საბჭოური წყობილების ატრიბუტად ქცეული იუბილეომანია ჩვენში ერთგვარად შენელდა და ეს დუმილი გამოჩენილი ქართველი მეცნიერის და მამულიშვილის ნიკოლოზ მუსხელიშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილმა ზეიმმა დაარღვია.

თბილისში ქართველი მეცნიერის ხსოვნისადმი პატივის მისაგებად ჩამოვიდნენ მსოფლიოს გამოჩენილი მათემატიკოსები და მექანიკოსები, ბევრი მათგანი თავს მუსხელიშვილის მოწაფედ თვლის.

საიუბილეო სამეცნიერო სიმპოზიუმის და სხვა ღონისძიებათა დამაგვირგვინებელ მოვლენად იქცა მეცნიერის საიუბილეო საღამო თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ თეატრში, რომელიც 8 ივნისს გაიმართა.

საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია მეუღლესთან ერთად და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი აკაკი ასათიანი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ალბერტ თავხელიძემ. სიტყვა ნიკო მუსხელიშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე წარმოთქვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა ივანე კიღურაძემ. მოგონებებით გამოვიდნენ და გამოჩენილი ქართველი მეცნიერის მემკვიდრეობას დიდი შეფასება მისცეს საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ვასილ ვლადიმიროვმა, უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა მაჰმუდ სალახიტდინოვმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე იშლინსკიმ, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ბოგდან ბოიარსკიმ, პოეტ-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ, აკადემიკოსებმა ვახტანგ ბერიძემ, ბორის ხვედელიძემ და ანდრო ბიწაძემ.

განსაკუთრებით გულთბილი იყო სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის დავით სედრაკიანის სიტყვა, რომელმაც დამსწრეთ გამოჩენილი სომეხი მეცნიერის, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, ნიკო მუსხელიშვილის დიდი მეგობრის ვიქტორ ამბარცუმიანის წერილი გააცნო.

დიდი ინტერესი გამოიწვია გამოჩენილი მეცნიერის დევიდ რადოკის გამოსვლამ, რომელმაც ინგლისურად თარგმნა და მსოფლიოს გააცნო ნიკო მუსხელიშვილის შესანიშნავი ნაშრომები დრეკადობის თეორიასა და მექანიკაში.

საქინფორმი.

# კინოსტუდია „ქართული ფილმის“ საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიის შედეგების შესახებ

**საქართველოს** რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ კინოსტუდიაში „ქართული ფილმი“ ჩაატარა დოკუმენტური რევიზია, რის შედეგადაც დადგენილია სერიოზული ხასიათის დარღვევა-დამახინჯების ფაქტები, კერძოდ: კინოსტუდიაში ნაკლოვანებებით ხასიათდება ცალკეული კინოფილმების ფინანსური მაჩვენებლები, რომლებიც საბოლოო შედეგებით უარყოფით გავლენას ახდენენ როგორც კინოსტუდიის საერთო საფინანსო მაჩვენებლებზე, ისე საერთო მდგომარეობაზე. კერძოდ, სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის „ბესამე“ (რეჟისორი ახვლედიანი) გადაღებაზე დაშვებულია 349,0 ათ. მან. გადახარჯვა, ფილმის „წარსული ყოველთვის ჩვენთანაა“ (რეჟისორი უ. მგელაძე) — 78,4 ათ.მან., ფილმის „ცოდვის შვილები“ — 26,7 ათ. მან., ფილმის „თეთრი ბაირაღები“ (რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე) — 67,8 ათ. მან., სატელევიზიო ფილმ-ალმანახის „ახალგაზრდობა“ გადაღებაზე — 39,3 ათ. მან. და სხვ. აღნიშნულიდან გამომდინარე, 1989-1990 წლებში სტუდიაზე მიყენებულმა ზარალმა 2170,0 ათ.მანეთი შეადგინა.

1990 წელს, კინოსტუდიაში პროდუქციის წარმოების საერთო გეგმა არ შესრულებულა, რაც განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: შემოქმედებითი თვალსაზრისით ნაწილობრივ დაწუნებულია კინოფილმი „ფეხბურთი, ფეხბურთი“ (რეჟისორი მ. ჭიაურელი), რომლის გადაღებაზეც 540 ათ. მანეთი დაიხარჯა. კინოფილმზე „წინათგრძნობა“ (რეჟისორი მ. კობახიძე), რომლის გადაღება სხვადასხვა მიზეზების გამო განუსაზღვრელი დროით არის შეწყვეტილი, დახარჯულია 558 ათ. მანეთი.

გარდა აღნიშნულისა, კინოფილმების წარმოების ვადების გაჭიანურების, უგეგმო ექსპედიციების ჩატარების, გადაღებების დროს მოცდენებისა და ხელახალი გადაღებების მიზეზით გამოწვეულმა ხარჯებმა 565,0 ათასი მანეთი შეადგინა. ხელმძღვანელობის სუსტი მუშაობის შედეგად კინოსტუდიას მძიმე საფინანსო მდგომარეობა შეექმნა. 1989-1990 წლებში მარტო ბანკის ვადაგადაცილებულ სესხზე უნაყოფოდ არის დახარჯული 1164 ათ. მანეთი.

სერიოზული დარღვევები გამოვლინდა აგრეთვე წოდებული სასცენარო პორტფელის შემოწმებისას, ათასობით მანეთი დაუმსახურებლად არის გაცემული ავტორებზე, ხოლო შემდგომ ჩამოწერილი სტუდიის საერთო ხარჯებში, კერძოდ: 1985-1990 წლებში შეძენილი 112,5 ათ. მანეთის ღირებულების 22 სცენარიდან შემოქმედებითი წუნის გამო წარმოებაში არ ჩაშვებულა და ჩამოწერილია 5 ავტორის სცენარი. ამავე წლებში, სასცენო პორტფელში ინახება უპერსპექტივო 6 ლიტერატურული სცენარი, რომელთა ავტორებზე ჰონორარის სახით გაცემულია 52,8 ათ. მანეთი.

დადგენილია აგრეთვე, რომ, მიუხედავად შემოქმედებითი წუნისა, ავტორებზე მაინც არის გაცემული ავანსები, ხოლო შემდგომ კი გაწყვეტილია ხელშეკრულება. ასეთი სახით სარევიზიო პერიოდში 8 ავტორზე გაცემულია ავანსი 10 ათ. მანეთის ოდენობით. უფრო მეტიც, ავტორ ა. გველესიანთან (კინოსტუდიის სასცენარო-სარედაქციო კოლეგიის წევრი) 1983 წელს დადებული ხელშეკრულება შეწყდა 1986 წელს, გაიცა ავანსი 3 ათ. მანეთი. შემდგომ კვლავ დაიდო ხელშეკრულება, რომელიც ასევე შეწყდა, თუმცა კვლავ გაიცა ავანსი 1,0 ათ. მანეთი.

სერიოზული ნაკლოვანებები დადგინდა კინოფილმის „დონ კიხოტი“ კინოსცენარზე გაცემული ჰონორარების შემოწმებისას. კერძოდ: ავტორებმა ვ. შკლოვსკიმ და რ. ჩხეიძემ 1975-1977 წლებში დაწერეს კინოსცენარი, რომელიც დაწუნებულ იქნა ესპანეთის სატელევიზიო კომპანიის მიერ, ავტორებს კი წინასწარ ჰქონდათ სრულად მიღებული 14 ათ. მანეთი, რაც ჩამოიწერა ფილმის ხარჯებში, როგორც უნაყოფო ხარჯი.

1983 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით „დონ კიხოტის“ ახალი სცენარის დაწერისათვის ავტორებს რ. ჩხეიძესა და ს. ელენტს კინოსტუდიამ გადაუხადა 22 ათ. მან., ხოლო 1985 წელს იგივე სცენარის (როგორც რთული სცენარის) შექმნისათვის მათ მიიღეს 11 ათ. მანეთი, მაშინ როცა აღნიშნული პირობების გათვალისწინებით (რთული სცენარი) მათ უკვე ჰქონდათ მიღებული 22 ათ. მანეთი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დღემდე „დამალული“ იყო და კინოსტუდიას არ ჰქონდა შემოსავალში გატარებული ახალციხის რაიონის ტერიტორიაზე 1985 წელს აშენებული ქვიტკირის ციხესიმაგრე, რომლის მშენებლობაზე დახარჯული 84 ათ. მანეთი ჩამოწერილია ფილმის „დონ კიხოტი“ ხარჯებზე.

განსაკუთრებით შემაშფოთებელი ფაქტები დადგინდა კინოფირების ოპერატორებზე გაცემის, ჩამოწერისა და ლაბორატორიაში მათი დამუშავების სისწორის შემოწმებისას. კერძოდ, კინოფილმის „თეთრი ბაირაღები“ გადაღებაზე (რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე, ოპერატორი ნამგალაშვილი) დაიხარჯა 3681 მანეთის უცხოური წარმოების 5161 გრძ. მეტრი „კოდაკის“ ფირი, მაშინ როცა ასეთი ფირი ამ პერიოდისათვის საერთოდ არ ირიცხებოდა კინოსტუდიის საწყობში.

ასეთივე გზით ორ ფილმზე „ალყა“ და „ომი ომია“ დახარჯულია, შესაბამისად, 6886 მანეთის 9564 გრძ. მეტრი და 2894 მანეთის 205,0 გრძ. მეტრი „კოდაკის“ ფირი.

კინოსტუდიის ხელმძღვანელობის მიერ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე დაშვებულია ოპერატორებზე რიცხული ფონდირებული „კოდაკის“ ფირების ჩამოწერის ფაქტები, კერძოდ, სარევიზიო პერიოდში ოპერატორებს — ახვლედიანს, ფილიპოვსა და ამასისკის ჩამოაწერეს 10310 მანეთის 17845 გრძ. მეტრი „კოდაკის“ ფირი, რომლის ვერცხლის შემცველობა შეადგენს 4220 გრამს თანხით 17,5 ათ. მანეთი. აღნიშნული ფაქტები იმითაც დასტურდება, რომ რევიზიის პერიოდში 3 ოპერატორის მიერ ჩაბარებულ იქნა 3115 გრძ. მეტრი ნეგატიური ფირი, რომლის ვერცხლის შემცველობა შეადგენს 685,8 გრამს თანხით 5486 მანეთი.

კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ დანერგილია ყოვლად მავნე პრაქტიკა. წლების განმავლობაში ფირები გასავლებად მიაქვთ მოსკოვსა და ლენინგრადში, რის შედეგადაც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ რჩება დიდი ოდენობის ვერცხლი, კერძოდ, 1987-1990 წლებში დაკარგულია 428 819 მან. ღირებულების 103,33 კგ ვერცხლი, მაშინ როცა კინოსტუდიაში ფირის დამამუშავებელი ლაბორატორია 1984 წლიდან მოქმედებს.

ყოველგვარი კონტროლის გარეშეა მიტოვებული უცხოეთიდან ჩამოსული სტუმრების მომსახურებისათვის განკუთვნილი სახსრების ხარჯვა, ამასთან მოწვეულ სტუმრების მომსახურებაზე არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა შედგენილი ხარჯთაღრიცხვები და მათი მოწვევა არ ყოფილა შეთანხმებული რესპუბლიკის მთავრობასთან. 1990 წელს მოწვეული სტუმრების მომსახურებაზე დაგეგმილი 2 ათ. მანეთის ნაცვლად დაიხარჯა 18,8 ათ. მანეთი, მათ შორის ბელგიელი ბიზნესმენების მომსახურებაზე — 2 ათ. მანეთი, ხოლო რ. ჩხეიძისა და ლ. ღოღობერიძის მიერ მოწვეულ ბასკ და იტალიელ კინომოღვაწეებზე — 3 ათ. მანეთი. ეს იმ დროს, როცა მათ ფილმებზე „ბასკეთი და საქართველო“ და „ვალსი პეჩორაზე“ ჯერ ხარჯთაღრიცხვებიც კი არ არის შედგენილი. საქმისადმი არამეურნეობრივი დამოკიდებულების შედეგია ის ფაქტიც, რომ საქართველოს პატრიარქმა კინოფილმ „იესოს“ გახმოვანებისათვის მოწვეული სტუმრების მომსახურებაზე გამოყო 31,1 ათ. მანეთი, ფაქტობრივად ხარჯები გასწია სტუდიამ ყოვლად დაუსაბუთებლად.

სერიოზული დარღვევა-ნაკლოვანებები დადგინდა საბანკო ოპერაციების შემოწმებისას, ასე, მაგალითად, 1990 წლის იანვარში შესრულებული სამუშაოებისათვის „სოიუზტურისტმშენზე“ გადარიცხულია 50,0 ათ. მანეთი, იგივე თანხა კვლავ არის გადარიცხული იმავე ადრესატზე 1990 წლის თებერვალში.

კინოსტუდიის 1990 წელს სხვადასხვა კოოპერატივებზე გადარიცხული აქვს 177 792 მანეთი, მათ შორის საეჭვო ოპერაცია ჩატარდა კოოპერატივთან „რიონი-90“. კინოსტუდიის ანგარიშიდან დასახელებულ ორგანიზაციას 1990 წლის 27 ნოემბერს გადაურიცხეს 7028 მან. ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ვითომდა კინოსტუდიის ეზოში მშენებარე ეკლესიისათვის საჭირო ფილების შესაძენად. ფაქტობრივად კი აღნიშნული თანხა განკუთვნილი იყო კინოვიდეო სტუდია „არმაზი“-სათვის ფინანსური დახმარების გასაწევად, რომელთანაც კინოსტუდიას არავითარი ურთიერთობა არა აქვს. ასევე ეჭვს იწვევს „საქაგრომშენ“-თან ჩატარებული 1.529 მანეთის საბანკო ოპერაცია, რომლის თანხმადაც კინოსურათისათვის „ვალსი პეჩორაზე“ (რეჟისორი ლ. ღოღობერიძე) შეძენილ იქნა ცემენტის ბლოკები, რომელიც შემოსავალში გატარების გარეშე პირდაპირ ჩამოწერილ იქნა ხარჯებში. უნდა აღინიშნოს, რომ კინოსურათზე „ვალსი პეჩორაზე“ ჯერ ხარჯთაღრიცხვაც კი არ არის შედგენილი.

ხელფასის ფონდის უკანონოდ ხარჯვის შედეგად ყოვლად დაუმსახურებლად, ზედმეტად არის გაცემული რიგ თანამშრომლებზე ათასობით მანეთი, ასე, მაგალითად, შეთავსების წესების უხეში დარღვევით სარევიზიო პერიოდში 14 თანამშრომელზე უკანონოდ არის გაცემული ხელფასი 38,3 ათ. მანეთი და პრემია 8,4 ათ. მანეთი. მათ შორის კინორეჟისორ გ. ლორთქიფანიძეზე ხელფასისა და პრემიის სახით — 7,1 ათ. მანეთი. პარალელურად მასვე სარევიზიო პერიოდში ყოველთვიურად, როგორც სამხატვრო ხელმძღვანელს, მუსიკალური თეატრიდან მიღებული აქვს 300 მანეთი და როგორც თავმჯდომარეს— თეატრის მოღვაწეთა კავშირიდან 450 მანეთი. ანალოგიურად კინომსახიობთა თეატრის ხელმძღვანელს მ. თუმანიშვილს სარევიზიო პერიოდში ხელფასისა და პრემიის სახით მიღებული აქვს 7,7 ათ. მანეთი. პარალელურად მასზე, როგორც თეატრალური ინსტიტუტის კათედრის გამგეზე და ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეჟისორზე, ყოველთვიურად გაცემულია 450 მანეთი. კინოსურათში „დონ კიხოტი“ გადაღებაზე მოწვეულ რუსთაველის სახელობის თეატრის მსახიობს კახი კავსაძეს მთავარი როლის შესრულებისათვის მიღებული აქვს 29 ათ. მანეთი. პარალელურად კი რუსთაველის თეატრში იგი ღებულობდა ყოველთვიურად ხელფასს 350 მანეთს.

კინოსტუდიაში გამეფებული უკონტროლობისა და შრომის დისციპლინის მოშლის შედეგია ის ფაქტები, რომ პროფკომიტეტის მიერ სარევიზიო პერიოდში გაიცა დასასვენებელი სახლის საგზურები 10 პირზე, რომლებიც არ ირიცხებოდნენ კინოსტუდიის შტატში, ხოლო შეღავათების გაფორმების გარეშე საგზურებით სარგებლობისას 172 თანამშრომელს უკანონოდ დაერიცხა ადგილზე ხელფასი 20567 მანეთის ოდენობით. გარდა აღნიშნულისა, კუთვნილი შეღავათებიდან გამოძახებულ 37 თანამშრომელზე სარევიზიო პერიოდში კომპენსაციის სახით გაიცა 5213 მანეთი.

ყოველგვარი კონტროლის გარეშეა მიტოვებული მატერიალურ ფასეულობათა დაცვა. ჩატარებული ინვენტარიზაციები ატარებენ ფორმალურ ხასიათს, კერძოდ, 1990 წლის ოქტომბერში წლიური ინვენტარიზაციების შედეგების შერჩევითი გადამოწმებისას მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს: ხე-ტყის საწყობის გამგეს ე. გოგოლაურს გამოუვლინდა 3371 მანეთის ზედმეტობა, ფირის საწყობის გამგეს ა. შერეზედაშვილს 1029 მანეთის, საცხენოსნო ბაზის მატერიალურად პასუხისმგებელ პირს მ. ხოჯაევს 7 ათ. მანეთის, საბაღე მეურნეობის მატერიალურად პასუხისმგებელ პირს გ. ვაშალომიძეს 24 დასახელების სხვადასხვა ჯიშის ცხოველების ზედმეტობა თანხით 1895 მანეთი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიმდინარე წლის 9 იანვარს დაუდგენელი პირების მიერ საამქროდან № 2 სიით გატაცებულ იქნა 33 დასახელების სხვადასხვა სახის საბრძოლო იარაღი, მათ შორის 9 ავტომატი „პპშ 55“, 18 ცალი გერმანული ავტომატი „შმაისერი“, 5 ცალი კარაბინი. გარდა ამისა, 1990 წლის 5 დეკემბრიდან დაკარგულია სტუდიის კუთვნილი ავტომანქანა „უაზ-469“. გატეხვის მოტივით ჩამოწერილია საბჭოური ტელევიზორი „რუბინი“, ღირებულებით 714 მანეთი და იაპონური წარმოების ტელევიზორი „სონი“, ღირებულებით 1500 მანეთი.

კინოფილმის „მჭედელი თავის ბედისა“ გადამღები ჯგუფის მიერ (დირექტორი ო. გობრონიძე) 1989 წლის ივლისში წარმოდგენილ იქნა 1988 წლის 17 ივნისით დათარიღებული აქტი, რომლის საფუძველზე ჩამოწერილია 13,1 ათ. მანეთის ღირებულების გამანათებელი აპარატურა, რომელიც თითქოსდა ს. ანაკლიაში გადაღებისას ზღვის ტალღებმა გაიტაცა, მაშინ როცა აღნიშნული აპარატურა შესულია 1988 წლის წლიურ ინვენტარიზაციაში.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1989 წლის ოქტომბერში სტუდიის თანამშრომელს ვ. ჭანტურიას მიეყიდა კინოსტუდიის კუთვნილი ცხენი 210 მანეთად, მაშინ, როცა ამ ცხენის საბალანსო ღირებულება 1500 მანეთი იყო. ცხენის სიბერის ან მეურნეობიდან გამოსვლის შესახებ სათანადო დოკუმენტები არ ყოფილა გაფორმებული. ამასთან ცხენის ღირებულება ასევე არ ყოფილა შეფასებული კომისიის მიერ.

რევიზიით დადგინდა აგრეთვე სახელმწიფო ქონების დატაცების ფაქტები, კერძოდ, საწვავის საწყობის გამგეს თ. ჯინჭარაძეს გამოუვლინდა 39000 მანეთის 96554 ლიტრი სხვადასხვა მარკის ბენზინის დანაკლისი. გარდა აღნიშნულისა, საწვავის საწყობში სტუდიის დირექტორის ნებართვით აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების, კულტურული ცენტრის „სინემა“ და საქველმოქმედო ასოციაციის „აღორძინება“ კუთვნილი 16600 ლიტრი საწვავი. ამასთან, სტუდიაში არ აღმოჩნდა არავითარი დამამტკიცებელი დოკუმენტი დასახელებული საზოგადოებების მიერ ბენზინის შეძენის თაობაზე.

სერიოზული ნაკლოვანებები დადგინდა აგრეთვე კოოპერატივებზე რეალიზებული ამორტიზებული ავტომანქანების შეფასების და ფასთა სხვაობის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების საქმეში, რის გამო რესპუბლიკის ბიუჯეტში დღემდე არ არის გადარიცხული 30,7 ათ. მანეთი.

დარღვევები გამოვლინდა ავტოსატრანსპორტო საამქროს მუშაობის შემოწმებისას, კერძოდ, 1989-1990 წლებში ავტოტრანსპორტზე დახარჯული ბენზინის ჩამოწერის დროს ხელოვნურად იქნა გაზრდილი ბენზინის ხარჯი თანხით 11756 მანეთი.

დადგენილია აგრეთვე, რომ რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ბრძანებების საფუძველზე, რესპუბლიკის მთავრობის გვერდის ავლით, ყოფილ დირექტორზე რ. ჩხეიძეზე რეალიზებულ იქნა მასზე მიმაგრებული სამსახურებრივი ავტომანქანა „გაზ-31“ 3390 მანეთად. როგორც აქტში არის აღნიშნული, ავტომანქანა 2-ჯერ არის ნამყოფი ავარიაში, ფაქტობრივად კი ავარიის დამადასტურებელი საბუთები სტუდიაში არ აღმოჩნდა.

აღსანიშნავია, რომ რ. ჩხეიძეზე რეალიზებული მანქანა შემფასებელი კომისიის მიერ თავდაპირველად შეფასდა 15 ათ. მანეთად, ხოლო შემდგომ კვლავ მოხდენილ იქნა მისი გადაფასება 25 ათ. მანეთად, რომლის საფუძველზე რ. ჩხეიძემ 1991 წლის 8 იანვარს რევიზიის დაწყებისას სტუდიის სალაროში დამატებით შეიტანა 18385 ათ. მანეთი.

მნიშვნელოვანი დარღვევები გამოვლინდა გაზეთის „ქართული ფილმი“ მუშაობის შემოწმებისას. მისი გამოცემა დაიწყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს გადაწყვეტილებით (1986 წლის სექტემბერი, ოქმი №15) საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან შეუთანხმებლად. გაზეთი, რომელიც იქნებოდა მხოლოდ და მხოლოდ თეორიული და გამოაქვეყნებდა ფილმებზე რეცენზიებს, სამხატვრო საბჭოსა და სარედაქციო კოლეგიის მუშაობის შესახებ ანგარიშებს. ეს გაზეთი დღიდან გამოცემისა გადაიქცა პოლიტიკურ ორგანოდ, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სტუდიის თანამშრომლებს შორის. 1990 წლის დეკემბერში 115 მუშაკმა მიმართა გაზეთის რედაქტორს, რათა შეეწყვიტა პოლიტიკურ თემაზე პუბლიკაციების გამოქვეყნების არასწორი პრაქტიკა. რედაქციამ ეს მოთხოვნა არ იღო ყურად და კვლავ განაგრძო ძველი მეთოდებით საქმიანობა.

აქედან გამომდინარე, გაზეთმა დაკარგა თავდაპირველად მოპოვებული პოპულარობა და, თუ 1990 წლის მანძილზე მისი ტირაჟი საშუალოდ 75 ათასს შეადგენდა, 1991 წლის იანვრისათვის საგრძნობლად შემცირდა და 35 ათასს არ აღემატებოდა.

ნაკლოვანებებია კინოსტუდიის თანამშრომლებზე მსუბუქი ავტომანქანების განაწილების საქმეში. 1970 წლიდან დღემდე კინოსტუდიის პროფკომიტეტში მსუბუქი ავტომანქანების შეძენის აღრიცხვაზე იმყოფება 617 მუშაკი, მაშინ როცა რიგ პრივილეგირებულ მუშაკებს თითქმის ყოველწლიურად აქვთ მიღებული პირად საკუთრებაში მსუბუქი ავტომანქანები. ასე, მაგალითად, ოპერატორ ლომერ ახვლედიანს 1979-1987 წლებში მიღებული აქვს 6 მსუბუქი ავტომანქანა, დირექტორის მოადგილეს დიმიტრი გონგლიაშვილს 1983-1988 წლებში — 4, რეჟისორ გიორგი შენგელაიას 1979-1987 წლებში — 4, სტუდიის დირექტორს რეზო ჩხეიძეს 1981-1987 წლებში — გაზ-24 მარკის 2 ავტომანქანა, ხოლო 1990 წელს — გაზ-31.

სტუდიაში განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ ის პირები, რომლებიც მონაწილეობდნენ ფილმის „დონ კიხოტი“ გადაღებაში. ასე, მაგალითად, ფილმში „დონ კიხოტი“ მთავარი როლის შემსრულებელ მ. კიკალეიშვილს 1987-1990 წლებში სტუდიიდან მიღებული აქვს „ჟიგული“, „მოსკვიჩი“, 2141 და „ვოლგა“ გაზ-24, რუსთაველის თეატრის მსახიობს კ. კავსაძეს 1984 წელს — „ვოლგა“ გაზ-24, 1989 წელს — „მოსკვიჩი“ 2141, 1990 წელს — „ვოლგა“ გაზ-24, დამდგმელ რეჟისორს ბ. ჩხეიძეს 1985-1987 წლებში — 3 ჟიგული.

კინოსტუდიის მუშაობაში გამეფებულმა განუკითხაობამ თავისი კვალი დააჩნია კაპ. შეკეთებაზე გამოყოფილი თანხების მიზნობრივად ხარჯვას. კერძოდ, 1989-1990 წლებში კინოსტუდიაში შესრულდა 2093,1 ათ. მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, აქედან 1351,4 ათ. მან. შესრულებულ სამუშაოებზე ჩატარდა საკონტროლო აზომვები, რის შედეგადაც დადგინდა მიწერა 68,4 ათ. მანეთის ოდენობით, რაზეც უკანონოდ დარიცხულია და გაცემულია მუშებზე 24 473 მანეთი ხელფასი.

ნაკლოვანებები გამოვლინდა ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების საქმეში. 1990 წლის 11 თვეში გაწეული 2286,4 ათ. მან, საერთო-სამეურნეო ხარჯებიდან პროდუქციის თვითღირებულებაში შეტანილ იქნა 1982,7 ათ. მან., ხოლო 303,6 ათ. მანეთი — მომავალი პერიოდის ხარჯებში, რითაც ხელოვნურად იქნა შემცირებული პროდუქციის თვითღირებულება. ამასთან, სტუდიის 1990 წლის 1 იანვრისათვის მთავარი წიგნის მიხედვით ერიცხებოდა 2169 ათ. მანეთის მზა პროდუქციის ნაშთი, რაც 294 ათ. მანეთით აღემატება 1989 წლის ბოლოს მთავარი წიგნის მიხედვით არსებულ მზა პროდუქციის ნაშთს.

დადგენილია, რომ მოგების დამალვის მიზნით 1990 წლის მარტში ეს მაჩვენებელი ხელოვნურად იქნა შემცირებული 8500 მანეთით, რითაც გაიზარდა საწესდებო ფონდი. საბრუნავ საშუალებებში გარღვევის შემცირების მიზნით ივნისის თვეში კინოფილმების ხარისხის ფონდიდან 200000 მანეთი მიმართულ იქნა საწესდებო ფონდში.

დადგენილია აგრეთვე, რომ 1985 წელს საკავშირო სახბანკიდან გამოყოფილი სესხი 52 ათ. მანეთი ვითომდა მოხმარდა კინოსტუდიის თანამშრომელთა აგარაკზე (ლოჭინოში) თევზის მოსაშენებელი ტბის მშენებლობას, რომელსაც დღემდის არ მოუცია პროდუქცია და გამოიყენება როგორც დასვენების კერა. მის მოვლა-პატრონობაზე კი ორ თანამშრომელს სარევიზიო პერიოდში გადაუხადეს 5520 მანეთი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დირექციის ინიციატივით კინოსტუდიის ეზოში ყოველგვარი დაფინანსების გარეშე დაიწყო წმინდა ლაზარეს ეკლესიის მშენებლობა. ამასთან დაკავშირებით სტუდიამ საკუთარი საბრუნავი საშუალებებიდან მასალების შესაძენად სხვადასხვა ორგანიზაციებზე გადარიცხა 182 ათ. მანეთი.

სერიოზული დარღვევები დადგინდა კინოსტუდიის შტატის რეჟისორების გეგმაზომიერი დატვირთვის საქმეშიც. კერძოდ, 1985-1990 წლებში კინოსტუდიის შტატში რიცხული 64 რეჟისორიდან არ იყო დატვირთული 36 (გადაღებული აქვთ მხოლოდ თითო ფილმი). სტუდიის დირექტორს რ. ჩხეიძეს კი აღნიშნულ პერიოდში გადაღებული აქვს ცხრასერიიანი სატელევიზიო ფილმი „დონ-კიხოტი“ და იმავე დასახელების 4-სერიიანი მხატვრული ფილმი, დამდგმელ რეჟისორს ბიძინა ჩხეიძეს (შვილს) 4 ფილმი, მოწვეულ რეჟისორს გ. ლორთქიფანიძეს 4 ფილმი და სხვა.

კინოსტუდიის ხელმძღვანელობის მხრივ ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა წინა რევიზიის შედეგებზე ზემდგომი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და ღონისძიებების შესრულების საქმეს, კერძოდ, 1989 წლის აპრილში კინოსტუდიაში „ქართული ფილმი“ ჩატარებული დოკუმენტური რევიზიის შედეგებზე კულტურის სამინისტროს მიერ დაშვებული ბრძანებით (3/345 8. 08. 89) მითითებული იყო დარღვევა-ნაკლოვანებათა გამოსწორების გზები. კინოსტუდიის ხელმძღვანელობის მიერ არ შესრულებულა არც ერთი პუნქტი. უფრო მეტიც, იგივე დარღვევა-ნაკლოვანებები კვლავ გრძელდება.

ამასთან ერთად გაცნობებთ რომ ზემოთ მოტანილ დარღვევა-დამახინჯებათა გამო მასალები გადაცემულია პროკურატურის ორგანოებზე შემდგომი კვლევა-ძიებისათვის.

რევიზიით დადგენილია აგრეთვე დარღვევა-ნაკლოვანებათა სხვა ფაქტებიც, რომლებმაც ასახვა ჰპოვეს ძირითად აქტში.

ბ. აბსანძე,
საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი.
1991 წლის მარტი.

# ალიანსი რეპეხასთან

**ორი** რამ აღავსებს სულს სულ უფრო მზარდი განცვიფრებითა და მოწიწებით, რაც უფრო ხშირად და დიდხანს ვფიქრობ მასზე — ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზემოთ და მორალური კანონი ჩემშიო, — უთქვამს კანტს.

ჩვენს „წყევლაკრულვიან“ წუთისოფელში, სადაც დიდი ილიასეული პატარა ღმერთი — სინდისი ხმელი წიფელის ფესვზე ამოსულ ნერგთან ასოცირდება, სადაც პოლიტიკური თუ ეკონომიკური სიდუხჭირით გამოწვეული რყევები ჩვენს საზოგადოებას ნაპირზე გადმოგდებული თევზივით აფართხალებს, სადაც სამოცდაათი წლის განმავლობაში გამომუშავებული მონობის სტერეოტიპებიდან თავის დახსნას იქვე და ისევ მონობაში გამომუშავებული ჩვევებით ვცდილობთ და ვერცკი წარმოგვიდგენია, რას გვიმზადებს ულმობელი ბედისწერა, იქნებ ღირდეს დაფიქრება ამაზე.

ორასწლოვანი მონობისაგან განაწამები სულის ცალკეული ინდივიდებისათვის დღეს იქნებ ძნელიც იყოს ზემოხსენებული პირობების დაცვა, მაგრამ, თუკი სახელმწიფოებრივი მართვის პროცესში მონაწილეობის სურვილი გაგაჩნია, მაშინ არასგზით არ გეპატიება ზემონახსენები პირობების დაუცველობა. თუმცა რა პირობების დაცვაზე ლაპარაკი, როცა ხელისუფლების სათავეში მყოფი შენი პოლიტიკური ოპონენტის დასამცირებლად მიტინგებზე თუ სხვა საჯარო შეკრებებზე მისი ოჯახის ღირსების გაქილვასაც არ ერიდები, თუმცა ძალიან კარგად მოგეხსენება, სხვისი ოჯახის სიწმინდის ხელყოფა ეროვნული ტრადიციებისადმი ღალატიცაა, მაგრამ ამგვარი არავაჟკაცური საქციელი იქნებ გასაკვირიც არ იყოს იმ კაცისაგან, რომლის პოლიტიკურმა კრედომ სრული ფიასკო განიცადა და ხელმოცარულს პოლიტიკური ბრძოლის არსენალში უკანასკნელი ვაზნასავით „სპადოვსკისეული“ პროკლამაციაღა შემორჩენია.

„ყველასათვის სანატრელი წყობილება არავის დაუმყარებიაო ჯერაც,“ — აღმოხდენია XX საუკუნის ქართული მწერლობის კორიფეს. დღეს არსებულ თვით ყველაზე სამართლებრივ სახელმწიფოშიც კი რჩება შინაგანი ანტაგონიზმი, რომლის შესაზღუდავად კაცობრიობამ კანონები ამოქმედა, რათა სრულად განვითარებულიყო ადამიანის ბუნებაში არსებული შესაძლებლობანი. სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობისა და შენარჩუნების წუხილი კლავდა მეჩვიდმეტე საუკუნის უდიდეს მოაზროვნე პასკალსაც, როდესაც წერდა: „სამართლიანობა, რომელსაც ზურგს არ უმაგრებს ძალა, უძლურია: ძალა, რომლის ზურგს უკან არ დგას სამართლიანობა, ტირანულია. უძლურ სამართლიანობას ყოველთვის ფეხქვეშ გაიგებენ, იმიტომ, რომ ამ ქვეყნად არ დაილევიან უკეთურნი; უსამართლო ძალა კი ყოველთვის აღაშფოთებს კეთილთ.

რამდენიმე სტრიქონში გადმოცემულია გენიალური აზრის მნიშვნელობა, თუმცა ისტორია ხომ იმისათვის არ მეორდება, ჭკუა რომ გვასწავლოს. ჩვენთვის ხომ სრულიად „მიუღებელია“ იმავე პასკალის დებულება, რომ „ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები თავიანთი ქვეყნის კანონებს ემორჩილებიან, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი — უმრავლესობის აზრს! რატომ? იმიტომ, რომ მხოლოდ კანონებსა და საზოგადოებრივ აზრს აქვს ძალა.

სიცილიური მაფიის საბჭოური მოდელი — ე. წ. „კანონიერი ქურდობის“ ინსტიტუტი ათწლეულების განმავლობაში სოციალურ ბოროტებად დაგვატყდა თავს. ჩვენი ხანგრძლივი წუხილი „მოპარული ბიჭების“ გამო, ჩვენსავე უმწეობაში იძირებოდა, რადგან კორუფციის ჭაობში ჩაფლული სახელმწიფოს მართვის აპარატის ჩინოვნიკების კეთილდღეობა ბევრად იყო დამოკიდებული მასთან „შემატკბილებულ“ შავ ე. წ. „კანონიერი ქურდობის“ სამყაროსთან.

მას შემდეგ, რაც საქართველო მტკიცედ დაადგა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის გზას, იმპერიის წიაღებში მონავარდე „კანონიერი ქურდობის“ ინსტიტუტის წარმომადგენელ ბევრ ჩვენს თანამემამულეს დაუმოკლდა მოქმედების არეალი. თუმცა, ე. წ. „კანონიერი ქურდობის“ წინააღმდეგ ბრძოლა და მათი დროული გამოვლენა ძალიან ძნელდება, რადგან მათ „მუშაობის“ სპეციფიკური ხელწერა აქვთ, ისე რომ კვალი არ რჩება, ისინი მოსაპარავად და საყაჩაღოდ არასოდეს მიდიან. მათი ძირითადი ფუნქცია „იდეის“ („ნაკოლის“) გაცემაა, ქურდობა და ყაჩაღობა უშუალოდ მათი შემსრულებლის მოვალეობაა. ფაქტზე დაკავებული „შემსრულებლის“ აღიარება (თუ ვინ მისცა „საქმე“), ისეთივე ილუზიაა, როგორიც „კანონიერი ქურდის“ პატიოსნება. ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების არაოფიციალური მონაცემებით ქ. თბილისში მოთარეშე ერთ-ერთმა „კანონიერმა ქურდმა“ 145 ათასი მანეთი ჩაიჯიბა იმ საქმის გარჩევის საზღაურად, რომელშიც გასარკვევი იყო, თუ რამდენი უნდა რგებოდა კონკრეტული გასატეხი ბინის „იდეის“ ავტორს. ყოველივე ამის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა სირთულეებთან არის დაკავშირებული „კანონიერი ქურდის“ ფაქტზე დაჭერა, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, თუ რაოდენ მწირია მილიციის ტექნიკური აღჭურვილობა. თუკი იმასაც აღვნიშნავთ, რომ დღეს საზოგადოებაში სოციალურად ყველაზე დაუცველი მილიციის მოღვაწეობა მხოლოდ სიცოცხლის რისკის ფასადაა მოპოვებული.

საზოგადოება ტერორიზებული იყო და, სამწუხაროდ, რჩება დღესაც ე. წ. „კანონიერი ქურდებისაგან“. შავი სამყაროს მგლური კანონებისა და მათი აღმსარებლების ბუნების მეტ-ნაკლებად მცოდნესაც კარგად მოეხსენება, რომ „რამკიანი ქურდის“ გადაკიდება იმ სასიკვდილო განაჩენის ტოლფასია, გასაჩივრების შემდეგ უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ძალაში რომ დატოვა.

მთელი სიცხადით უნდა ითქვას, რომ დღეს მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო (ძირითადად სამაჩაბლოში განვითარებული ეთნოკონფლიქტის გამო) რესპუბლიკაში ვერ ტარდება ის აუცილებელი ოპერატიული ღონისძიებანი, რომელიც ე. წ. „კანონიერი ქურდების“ პარპაშს დროულად აღკვეთდა. ჯერჯერობით ერთადერთი ქალაქი, სადაც „შავი სამყაროს“ უფლისწულებს დისკომფორტი შეექმნათ, არის ქალაქი რუსთავი, სწორედ ის ქალაქი, სადაც ყველაზე მეტად გრძნობდნენ თავს გალაღებულად. შედეგიც სახეზე იყო — უმწვავესი კრიმინოგენური ვითარება რესპუბლიკის მასშტაბით.

ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსმა მილიციის პოდპოლკოვნიკმა ფრიდონ კენკებაშვილმა დღიდან მოსვლისა (ა. წ. 5 თებერვალი) დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ე. წ. „შავ სამყაროს“. სამართლიანად უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართებით კარგ შედეგებსაც აღწევს.

უკანასკნელ ხანს გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად სხვადასხვა დანაშაულისათვის დაკავებულნი იქნენ „შავი სამყაროს“ აღიარებული ლიდერები: გიორგი ხმელიძე (მეტსახელად „ხმელა“), ლიოხა და ჯეირანა ასლანოვები (ეროვნებით ქურთები, უკანასკნელი მეტსახელად „ჯეირანა“), ჩიბუხაშვილი მიხეილი (მეტსახელად „ჩიბუხა“), ჯიქია ილო და სხვ.

ლიკვიდირებულ იქნა ქალაქში მოთარეშე 5 ყაჩაღური დაჯგუფება და 19 შეიარაღებული ბინის ქურდების ჯგუფი, რომელთა აღვირახსნილ თარეშს შიშის ძრწოლაში ჰყავდა ქალაქის მოსახლეობა. 14 ივნისს ერთ-ერთი ყაჩაღური ბანდის დაკავებისას დაიჭრა მილიციის ლეიტენანტი დავით გიორგის ძე ნოზაძე. აქვე დაიჭრა დამნაშავეც... და დაჭრილმა მილიციის მუშაკმა საავადმყოფოში წაიყვანა დაჭრილი დამნაშავე!

ყველასათვის ცნობილია, რომ დანაშაულობების სხვადასხვა სახეობებთან ერთად ლამისაა სოციალურ მოვლენად იქცა კერძო საკუთრების მანქანების გატაცება. აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მცხოვრებმა იცოდა ქ. რუსთავის მეგობრობის გამზირის №1 სახლი, სადაც გიორგი ხმელიძე და ძმები ასლანოვები ცხოვრობდნენ. ამ სახლს მეტსახელად კოოპერატივი „საპონელა“ შეარქვეს, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში დაკარგული ავტომანქანის პოვნა მხოლოდ აქ შეიძლებოდა, რასაკვირველია, სოლიდური გასამრჯელოს ფასად. სხვა კოოპერატივებისაგან განსხვავებით, აქ მუშტარს რიგში დგომა უწევდა. აღნიშნული „კოოპერატივის“ არსებობა ფრიდონ კენკებაშვილმა შეწყვიტა, რომ ძმები ასლანოვები და გიორგი ხმელიძე სადაც ჯერ არს იქ მიაბრძანეს და ქალაქში მცხოვრები არასრულწლოვანი ბავშვების სწორი გზიდან აცდენის კიდევ ერთი კერა მოისპო. აქვე, უეჭველად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ შავი სამყაროს ზემოხამოთვლილი ლიდერების უმრავლესობა ნარკოტიკული ნივთიერებების ქრონიკული მომხმარებელია. თუკი შავ ბაზარზე ნარკოტიკული ნივთიერებების დღევანდელ ფასზე ვიმსჯელებთ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გზით უწევდათ ზემოხამოთვლილ კრიმინოგენურ ელემენტებს ნარკოტიკული ნივთიერებისათვის საჭირო თანხის შოვნა.

სიტყვამ მოიტანა და, უეჭველად უნდა აღინიშნოს, რომ თავი და თავი „კანონიერი“ ქურდების ინსტიტუტისა და ორგანიზებული დანაშაულობის არსებობისა არის ე. წ. ჩრდილოვანი ეკონომიკა. საქმოსნები აფინანსებენ ე. წ. „კანონიერ ქურდებს“, რათა ხელშეუხებლობის გარანტია ჰქონდეს „შავი სამყაროს“ წარმომადგენლებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზებული დანაშაულობების წინააღმდეგ ქალაქში უშეღავათო ბრძოლა წარმოებდა, შავი სამყაროს ლიდერებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ, მათ ქ. რუსთავის მილიციის უფროსს თავიანთი „ნდობით აღჭურვილი პირები“ მიუგზავნეს (ერთ-ერთი მოქიქული სოლიდური თანამდებობის პირი აღმოჩნდა), ურთიერთშეთანხმებისა და „მშვიდობიანი თანაარსებობის“ ნოტით. პასუხი საქმიანი იყო. 5 დღის შემდეგ ასაფეთქებელი ნივთიერებების უნებართვო შენახვისათვის „საყვარელ სანატორიუმს“ კიდევ ორი დამსვენებელი შემატა — „კანონიერი ქურდი“ თამაზ გოგოლაძე (მეტსახელად „ჩერმენა“) და ასევე არაერთგზის ნასამართლევი თემურ ტალახაძე. არსებული მეტისმეტი სიძნელეების მიუხედავად, გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შემდეგ ქალაქში შესამჩნევად იკლო კრიმინოგენურმა მოვლენებმა.

რაც უფრო ღრმად ჩასწვდნენ „შავი სამყაროს“ ლიდერთა ავკაცობის ფესვებს, მათი მფარველების არნახული თავხედობა ყოველგვარ საზღვარს გასცდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა ვახტანგ ტალახაძემ (თემურ ტალახაძის ძმაა) და თამაზ გოგოლაძის („ჩერმენას“) დედამ თინა გოგოლაძემ წამოიწყეს აღვირახსნილი ცილისმწამებლური კამპანია შინაგან საქმეთა რუსთავის განყოფილების უფროსის წინააღმდეგ: ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში დაისტამბა პროკლამაცია, რომლის შინაარსის გაცნობის შემდეგ ყოველგვარი ინტერპრეტაციის გარეშეც ცხადია, თუ ვისთანაა ალიანსში შეურიგებელი ოპოზიციონერის მანტიაში გახვეული ე. წ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია უნიღბოდ. მკითხველი რომ არ დავაეჭვო, აქვე ქალბატონ თინა გოგოლაძის დეპეშის ტექსტსაც გაგაცნობთ:

„რუსთავი, შინაგან საქმეთა განყოფილება, კენკებაშვილს

სამშაბათს 11 ივნისს 18.00 საათზე რუსთავში თავისუფლების მოედანზე ტარდება ხალხმრავალი მიტინგი, რომლის მიზანია მილიციის მუშაობაში ნაკლოვანებების მხილება და ადამიანის უფლებების დაცვა. გიწვევთ მიტინგზე მილიციის სრული შემადგენლობით უავტომატებოდ. კატეგორიულად მოვითხოვ არ დაუშვათ მიტინგზე შინაგან საქმეთა სამინისტროს დამხმარე რაზმის წევრები.

მიტინგზე რაიმე ექსცესების შემთხვევაში, რომელიც მოსალოდნელია პირადად თქვენი წაქეზებით, პასუხისმგებლობა გეკისრებათ თქვენ. — თინა გოგოლაძე“.

როდესაც პოლიტიკური ოპონენტის პრეტენზიები გაგაჩნია და არსებულ ხელისუფლებას ნეობოლშევიზმში ადანაშაულებ, კეთილი უნდა ინებო და ცივილიზებული, სამართლებრივი სახელმწიფო მოღვაწისათვის შესაფერი ეთიკური ნორმების დაცვით ეპაექრო მოწინააღმდეგეს. ჩვენ არ ვიცით, ჩვენს ხელთ არსებული პროკლამაციის ავტორებს და გამავრცელებლებს პროკლამაციაში აღნიშნული უმძიმესი ბრალდების დადასტურების რა საბუთი გააჩნიათ, როცა ასეთ რისკს ეწევიან. და თუ არ გააჩნიათ, მაშინ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის განმარტებას შეგახსენებთ: „ცილისწამება მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებას შეიცავს მაშინ, როდესაც სახელგამტეხი ცნობები ვრცელდება საზოგადოების ფართო ფენებში. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდ საშიშროებას წარმოადგენს ცილისწამება ნაბეჭდი ფორმით, მაგალითად, გაზეთში, ჟურნალში, წიგნში და ა. შ. კვალიფიციურ ცილისწამებად ჩაითვლება აგრეთვე შეგნებულად ყალბი მონაჭორის გავრცელება ჰექტოგრაფით, საწერი მანქანით და სხვ. მისითანით. მრავალი ეგზემპლარის გადაბეჭდვისა და სხვადასხვა პირებისათვის გაგზავნის მეშვეობით, ასეთივე ცნობების მრავალ ეგზემპლარად ხელით გადაწერა და გაგზავნა, აგრეთვე გამოქვეყნება კედლის გაზეთში, რომელიც მრავალი ადამიანის წასაკითხადაა განკუთვნილი და ა. შ.“.

იმავე 137-ე მუხლის განმარტებით „ცილისწამება, რომელსაც თან ერთვის განსაკუთრებით საშიშ ან სხვა მძიმე დანაშაულში ბრალდება, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე“. ასე რომ თუკი ბრალდება არ დაუდასტურდა რუსთავის მილიციის უფროსს, მაშინ ცილისმწამებლებს პასუხისმგებლობა არ ასცდებათ, როგორი თავყრილობაც უნდა მოაწყონ დღეს ქ. რუსთავის პრეფექტურის წინ.

დაპატიმრებულ თამაზ გოგოლაძის ბინის ჩხრეკისას ამოღებულია 77 ათასი მანეთი, ხოლო თემურ ტალახაძის ბინიდან 31 ათასი მანეთი, ძვირადღირებული მსუბუქი ავტომანქანა „ვაზ-2109 მარკის ჟიგულები“, „სი-ესის“ გაზის (?!) ბალონი. აღნიშნული მომწამვლელი გაზის კუთვნილებაზე პასუხისმგებლობა იკისრა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრმა ვახტანგ ტალახაძემ, რომელიც დაპატიმრებულია.

„შავ სამყაროსთან“ ბრძოლა გრძელდება, იგი მკაცრი და უშეღავათო იქნება. საზოგადოება გაიწმინდება მავნე ბაცილებისაგან, რომელთაც პარალიზებული ჰყავთ არამარტო ქ. რუსთავი, არამედ მთელი რესპუბლიკა.

ქ. რუსთავის შინაგან საქმეთა განყოფილების პირადი შემადგენლობის შემართული მოქმედება ამის იმედის საფუძველს იძლევა.

გია ფხოველიშვილი.

• • •

**მინაწერი:** მიმდინარე წლის 2 აპრილს, დაახლოებით ღამის 23 საათზე, გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვებაში, ცეცხლსასროლელი იარაღით შეიარაღებული 3-კაციანი ჯგუფი ყაჩაღურად თავს დაესხა ნოშრევან გიორგის ძე ჯანგირაშვილის ოჯახს. ოჯახის წევრების მიმართ მათ გამოიყენეს ძალა — შეუკრეს ხელ-ფეხი და აიძულეს გადაეცათ მათთვის ფული 16.600 მანეთის ოდენობით და მრავალი ძვირფასეულობა ოქროსა და ბრილიანტის ნაწარმის სახით. დაზარალებულების მიმართ იყო გახურებული უთოს გამოყენების მცდელობა. გატარებული ოპერატიული ღონისძიებების შედეგად დადგენილ იქნა „საქმის“ მიმცემი რობერტ გიორგის ძე ალხანიშვილი, დაბადებული 1932 წ. ადრე ნასამართლევი საქ. რესპ. სსკ 228 მუხლის მეორე ნაწილით, მცხოვრები ქ. რუსთავში, თოდრიას ქ. 11 ჩიხი, სახ. 14, ბინა №1. შემდგომი სამძებრო ღონისძიებების ჩატარების საფუძველზე დადგენილი და დაკავებული იქნენ ყაჩაღური თავდასხმის დანარჩენი მონაწილეები გია ნოშრევანის ძე ჩაჩავა, დაბ. 1963 წ. ცოლ-შვილიანი, უმუშევარი, ადრე ნასამართლევი გაუპატიურებისთვის, მცხ. ქ. რუსთავში, საბჭოს ქ. №35, და გივი ალექსის ძე გურგენაშვილი, დაბ. 1947 წ. ქ. რუსთავში, ცოლ-შვილიანი, ადრე სამართალში არყოფილი, ქ. რუსთავის თოჯინების თეატრის მსახიობი, მცხ. ქ. რუსთავში, საბჭოს ქ. №35; ყაჩაღური თავდასხმის ერთ-ერთმა მონაწილემ ომარ, იგივე, გია დარჩოს ძე ციცქიშვილმა დაბ. 1959 წ. ქ. რუსთავი, ცოლ-შვილიანი, უმუშევარი, ადრე სამართალში არყოფილი, მცხ. ქ. რუსთავში, საბჭოს ქ. №35, საქართველოს დემოკრატიული პარტიის წევრი (მანდატი № 011. მანდატს ხელს აწერენ შარმანაშვილი, ჭყონიძე, ვ. ტალახაძე) მოახერხა მიმალვა და მის მიმართ გამოცხადებულია ძებნა (ძებნის საქმე — № 21009/31).

გატარებული ღონისძიებების შედეგად ბოროტმოქმედთა მიერ დატაცებული ძვირფასი ნივთები და ფული დაუბრუნდა დაზარალებულს.

## სხვა გაზეთიდან

[illegible]

ზაზა აბზიანიძე.

# მთანიც კი დევნიან

[illegible]

ვალენტინ დოლნიკოვი.
„კურანტი", 1991 წლის 28 მაისი, № 96.

## საზღვარგარეთ

# ინდოეთი ახალი არჩევნების წინ

**ინდოეთის** ყოფილი პრემიერის და ეროვნული კონგრესის პარტიის თავმჯდომარის რაჯივ განდის მკვლელობას ფართოდ გამოეხმაურა არა მარტო ინდოეთი, არამედ მთელი მსოფლიო. პოლიტიკური მიმომხილველები ერთხმად აღიარებენ, რომ მკვლელობა პოლიტიკურ ნიადაგზე მოხდა, მაგრამ გამოძიებამ დღემდე ვერ დაადგინა, თუ კონკრეტულად რომელმა პოლიტიკურმა დაჯგუფებამ ჩაიდინა ეს. თავდაპირველად ეჭვი მიიტანეს შრი-ლანკის „ტამილთა განთავისუფლების ვეფხვების" ორგანიზაციაზე. ამის საფუძველი ის იყო, რომ თავის დროზე რაჯივ განდიმ ტამილთა წინააღმდეგ, რომლებიც შრი-ლანკაში დამოუკიდებელი სახელმწიფოს „ტამილი ილამის" შექმნას ცდილობდნენ, ინდოეთის 55-ათასიანი სამხედრო კორპუსი გაგზავნა. შეიარაღებული ბრძოლები 3 წელს გაგრძელდა და მან 6 ათასამდე მშვიდობიანი ტამილის სიცოცხლე შეიწირა. ასე რომ, „ვეფხვებს", თითქოსდა, ჰქონდათ საფუძველი შური ეძიათ განდიზე, მაგამ მათმა ხელმძღვანელებმა კატეგორიულად უარყვეს ეს ბრალდება. მართლაც, თუ ტამილები დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას აპირებენ, ასეთი სისხლიანი აქცია მათ საერთაშორისო მხარდაჭერას ვერ მოუპოვებდა. ამავე დროს ინდოეთში 50-მილიონამდე ტამილი ცხოვრობს, მკვლელობა მათ შტატში — ტამილინადში მოხდა, ინდოეთის ტამილიები კი ჯერჯერობით ინდოეთიდან გამოყოფას არ აპირებენ.

ამის შემდეგ ეჭვები სიქჰებზე მიიტანეს — მათ ხომ რაჯივის დედა ინდირა განდი იმსხვერპლეს. სიქჰებიც საკუთარი სახელმწიფოს „ჰალისტანის" შექმნას აპირებენ, ხოლო რაჯივ განდიმ თავის დროზე მათ შტატში პენჯაბში პრეზიდენტის მმართველობა შემოიღო, მაგრამ სიქჰების საწინააღმდეგო სავარაუდო ეჭვი ჯერჯერობით არ მართლდება: გამოძიებას ანალოგიური ეჭვი აქვს ასამელი, ქაშმარელი და ჯამუს შტატის იმ პირების მიმართ, რომლებიც ამ შტატების ინდოეთიდან ჩამოცილებას ფიქრობენ. უკანასკნელ ხანს პოლიციამ ეჭვი მიიტანა კომუნისტური მიმართულების ინდოეთის სახალხო ფრონტზე, რომელიც პოლიტიკური ტერორის გზას დაადგა. ეს ვერსია შესწავლის სტადიაშია. გაზეთ „სანდი ობსერვერის" აზრით, განდის მკვლელობას ყველა ნიშანი აქვს იმისა, რომ სპეცსამსახურების ჩადენილია. თავდასხმის დროც ზუსტად არის შერჩეული, იგი პარლამენტის არჩევნებს დაემთხვა. პოლიტიკური მიმომხილველები განდის მკვლელობის მიზეზებს ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფენაში ეძებენ. ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ 844-მილიონიანი ინდოეთის მოსახლეობის 83 პროცენტი ინდუიზმის რელიგიას მისდევს. ეს რელიგია კი აღიარებს საზოგადოების კასტებად დაყოფას. უმაღლესი კასტებია: ბრაჰმანები, ქშატრიები, ვაიშიები და შუდრა. შემდეგ მოდის დაბალი კასტები. ისინი ყველაზე არაპრესტიჟული საქმით არიან დასაქმებულნი. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი დაბალი კასტის წარმომადგენელია, რომელთა ზუსტი რიცხვი უცნობია. არჩევნების დროს პოლიტიკური მოღვაწეები ცდილობენ დაბალი კასტებიდან რაც შეიძლება მეტი ხმა მოიპოვონ, რაც ხშირად არჩევნების საბოლოო შედეგებზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს. რაჯივ განდი მკვლელობამდე ჰარიჯანებით, ანუ „მიუკარებლების" — უმდაბლესი კასტის წარმომადგენლებით იყო გარშემორტყმული. იგი ცდილობდა მათი მხარდაჭერის მოპოვებას. ინდოეთის საზოგადოებაში ყოველთვის გაბატონებული მდგომარეობა ბრაჰმანების კასტას ეკავა. 1984-დან 1989 წლამდე უმაღლესი კასტის წარმომადგენლებს პარლამენტში ადგილების 37 პროცენტი ეკავათ, ხოლო უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოებში — 70 პროცენტამდე. ცხადია, რომ ეს გარემოება უმდაბლესი კასტების წარმომადგენელთა უკმაყოფილებას იწვევს. ეს გარემოება გადახლართულია საარჩევნო ბრძოლასთან. უდაბლესი კასტების ინტერესების დამცველია ქვეყნის ყოფილი პრემიერი ვიშვანატ პრატაპ სინგჰი, რომელიც მოითხოვს უდაბლესი კასტების წარმომადგენლებისთვის სახელმწიფო დაწესებულებებში დაჯავშნონ ადგილების 27 პროცენტი. თავის დროზე ამ ინიციატივის წინააღმდეგ გაილაშქრეს უმაღლესი კასტის სტუდენტებმა, და ერთ-ერთმა მათგანმა, რაჯივ გოსვამიმ, პროტესტის ნიშნად თავი დაიწვა, შემდეგ მას სხვა სტუდენტებმაც მიბაძეს. ქვეყანაში ვითარება უაღრესად დაიძაბა და ვიშვანატ პრატაპ სინგჰი 11 თვის პრემიერობის შემდეგ იძულებული შეიქნა გადამდგარიყო. მისი ადგილი დაიკავა 63 წლის უტარპრადეშელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ჩანდრა შეკჰარმა. იგი თავის დროზე ინდირა განდის წინააღმდეგ გამოდიოდა და მის გადაყენებასაც მოითხოვდა, რისთვისაც დაატუსაღეს. განთავისუფლების შემდეგ მან ინდოეთის გზებზე 4260 კილომეტრი გაიარა ქვეითად, რათა უკეთ გაეცნო ხალხის გასაჭირი.

მიმდინარე არჩევნებში პრემიერ ჩანდრა შეკჰარს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა ყოფილი პრემიერების რაჯივ განდის და პრატაპ სინგჰის მხრიდან. თავის მხრივ ეს უკანასკნელი, რომელიც წარმოშობით რაჯაა, რაჯივ განდის, არც მეტი, არც ნაკლები, „ინდოეთისთვის უცხოელს" უწოდებდა.

ახლა მათ ერთი სერიოზული კონკურენტი ჩამოსცილდათ. როგორც ჩანს, ინდოეთის ახალი პრემიერ-მინისტრის პოსტიც მათ შორის საარჩევნო ბრძოლაში გაირკვევა.

ზურაბ სიხარულიძე

# ითხოვენ ატომური ელექტროსადგურის გაუქმებას

**მეცნიერთა** საბჭომ მოუწოდა ბირთვული მოწესრიგების კომიტეტს დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ატომური ელექტროსადგურის „იანკი როუს" ექსპლოატაცია, რომელიც მასაჩუსეტსის შტატის დასავლეთში მდებარეობს. 31 წლის წინათ აშენებული ამ ობიექტის შემდგომი მუშაობა, ნათქვამია მიმართვაში, საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და გარემოს. მეცნიერთა აზრით, მისი ატომური რეაქტორის კორპუსი ისეთ მდგომარეობაშია, რომ ნებისმიერ მომენტში შეიძლება გაჟონოს, რასაც ძალზე მძიმე შედეგები მოჰყვება.

მეცნიერებმა ბრალად დასდეს ბირთვული მოწესრიგების კომიტეტის თანამშრომლებს, რომ ისინი იძლევიან სადგურის ექსპლოატაციის ნებართვას, თუმცა იციან, რომ არსებობს უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი პრობლემები.

მეცნიერთა განცხადებამ ფართო რეაქცია გამოიწვია შეერთებული შტატების საზოგადოებრივ ორგანიზაციათა შორის, რომლებიც ყველა ატომური ობიექტის უსაფრთხოების გაზრდისათვის იბრძვიან. „ატომური ელექტროსადგური „იანკი როუ", — „უსაფრთხო ენერგეტიკისათვის მებრძოლი" ორგანიზაციის პრეზიდენტის ჯოზეფ კრეისბერგის აზრით, — რომელიც 50-იან წლებშია დაპროექტებული და 1960 წელს ამუშავდა, შეესაბამებოდა იმ წლების უსაფრთხოების სტანდარტებს. დღეს ისინი შეიცვალა — გამკაცრდა. მაგრამ სადგურის მფლობელები თითქოს ვერ ამჩნევენ ამას. ისინი აპირებენ მიაღწიონ კიდევ 20 წლის განმავლობაში სადგურის შემდგომი მუშაობის ახალი ლიცენზიის მიღებას. ვფიქრობ, სერიოზულ შეცდომას დავუშვებთ, თუ XXI საუკუნეს შევხვდებით ატომური ელექტროსადგურით, რომლის უსაფრთხოების მდგომარეობა არ შეესაბამება ახლანდელ სტანდარტებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მომავალ სტანდარტებზე.

# მიტინგი ბელგრადში

**იუგოსლავიის** დედაქალაქში გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი, რომელიც მოაწყვეს სერბიის რესპუბლიკის ოპოზიციურმა პარტიებმა.

მიტინგზე გამოვიდნენ [illegible] ტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, რომლებმაც [illegible] ვეს რესპუბლიკის მთავრობის გადადგომა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა [illegible] თავისუფლება, სოციალისტური სახელმწიფო სიმბოლიკის შეცვლა. მათი აზრით, სერბიის დროშასა და გერბზე არ უნდა იყოს წითელი ხუთქიმიანი ვარსკვლავი, უნდა აღდგეს ომამდელი სამეფო ჰიმნი. მიტინგის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს წამოყენებულ წინადადებებს დათხოვილი კომუნისტთა კავშირისა და სერბიის მშრომელი ხალხის სოციალისტური კავშირის საკუთრების ნაციონალიზაციის შესახებ, მოითხოვეს ეროვნული გვარდიის შექმნა.

მიტინგზე განაცხადეს, რომ წამოყენებულ მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ოპოზიცია მოითხოვს პარლამენტის დათხოვნას, დროებითი მთავრობის შექმნას და ახალი არჩევნების მოწყობას.

# რამდენიმე სტრიქონით

**მოლდოვეთის** პრეზიდენტმა მირჩა სნეგურმა მიხეილ გორბაჩოვს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც აღნიშნულია, რომ ქალაქ ტირასპოლში და ბენდერში სრულიად შეუტყობინებლად ჩაჰყავთ „ომონის" შენაერთები, რაც რესპუბლიკის მოსახლეობის შეშფოთებას იწვევს. სნეგურმა პროტესტი გამოთქვა ამ აქციის გამო და სუვერენული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა უწოდა.

**ლიტვაში** გამოაცხადეს, რომ აღადგენენ ღამისთევის პრაქტიკას პარლამენტის წინ, რადგან შიშობენ, რომ საბჭოთა ჯარი კვლავ მიმართავს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებას. ამასთან დაკავშირებით ვაშინგტონში სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატებისათვის გაუგებარია, როგორ შეუძლიათ საბჭოელებს შეუთავსონ ერთმანეთს ვილნიუსში ძალის უკანასკნელი გამოვლინება და მოსკოვის განცხადება იმაზე, რომ სურს თავი აარიდოს ძალმომრეობას.

**გაეროს** გენერალურმა მდივანმა ხავიერ პერეს დე კუელიარმა უშიშროების საბჭოს ურჩია კიდევ ექვსი თვით გააგრძელოს გაეროს მანდატის მოქმედების ვადა კვიპროსში. მისი თქმით, ეს საჭიროა ბერძენთა და თურქთა თემების წარმომადგენლებს შორის შეტაკებათა თავიდან ასაცილებლად.

**იაპონიის** ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ვულკანის უნძენის ამოფრქვევის შედეგად დაიღუპა 32 ადამიანი, უფრო მეტი უგზოუკვლოდ დაიკარგა. 10 ათასამდე ადამიანი უსახლკაროდ დარჩა. არის იმის საშიშროება, რომ უბედურების ზონა კიდევ უფრო გაფართოვდება.

**კიოდო** ცუსინის სააგენტოს ცნობით, იაპონიის ფინანსთა მინისტრმა რიუტარო ჰასიმოტომ ტოკიოში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირისათვის ფინანსური დახმარების საკითხი მხოლოდ მას შემდეგ დადგება დღის წესრიგში, როდესაც გადაიჭრება ტერიტორიული პრობლემა. „ჩვენს პოლიტიკაში არსებობს პოლიტიკისა და ეკონომიკის განუყოფლობის პრინციპი. იგი არ შეცვლილა და არც შეიცვლება" — დასძინა ფინანსთა მინისტრმა.

**20 ათასი** კაცი გახიზნეს 30 კილომეტრი რადიუსის საშიში ზონიდან მას შემდეგ, რაც დაიწყო ფილიპინების მაუნტპინატუბოს ვულკანის ამოფრქვევა. თავდაცვის მინისტრმა ფიდელ რამოსმა რესპუბლიკის პრეზიდენტს აცნობა, რომ მოსახლეობის 97 პროცენტი გახიზნულია საშიში რაიონებიდან.

**ჩეხეთ-სლოვაკეთში,** კარლსბადის ლუდის საწარმომ დაიწყო მინერალურ სამკურნალო წყალზე გამოხდილი ლუდის გაყიდვა. მას ექიმი ლუდი ეწოდება. მასში შედის 3 პროცენტი ალკოჰოლი და ცოტაოდენი შაქარი. იგი კარგად მოქმედებს იმათზე, ვისაც აწუხებს თირკმელები, ღვიძლი და კუჭი. ლუდით დაინტერესდნენ ბელგია, ნიდერლანდი და შვედეთი.

**კალიფორნიის** ტექნოლოგიურ ინსტიტუტში შექმნეს მსოფლიოს უსწრაფესი კომპიუტერი, იგი წამში მილიარდ ოპერაციას ასრულებს. მეცნიერები ახლა მუშაობენ ისეთი კომპიუტერის შექმნაზე, რომელიც წამში ტრილიონ ოპერაციას შეასრულებს.

**პაპი** იოანე პავლე II საბჭოთა კავშირის საზღვრის მახლობლად, ჩრდილო-აღმოსავლეთ პოლონეთში შეხვდა ლიტველებსა და ბელორუსებს. ბალტიისპირეთის ოფიციალურ დელეგაციას მეთაურობდა ლიტვის ვიცე-პრეზიდენტი სტანკიავიჩიუსი. [illegible] ბილთ პაპმა ძალიან ასიამოვნა იმით, რომ ლიტვურ ენაზე ილაპარაკა და დაჰპირდა ლიტვაში სტუმრობას.

**[illegible]** „[illegible]ხმის" სარედაქციო წერილში, რომელშიც გამოხატულია შეერთებული შტატების მთავრობის თვალსაზრისი, აღნიშნულია: „საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოში გაიმართა მთლიანი, საყოველთაო, მრავალპარტიული არჩევნები. მასში გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა „მრგვალი მაგიდის" ბლოკმა ზვიად გამსახურდიას მეთაურობით. 26 მაისს საქართველომ კვლავ მიმართა ისტორიულ მოქმედებას — მოაწყო რა ის, რაც იყო პირველი წარმატებითი სახალხო არჩევნები რესპუბლიკის პრეზიდენტის ასარჩევად. კომუნისტური პარტიის კანდიდატმა ხმების 2 პროცენტზე ნაკლები მიიღო.

**ჩინური** გაზეთის „ჟენმინ ჟიბაოს" აზრით, ჩინეთის ატომური ელექტროსადგურების გავლენა ქვეყნის ეკოლოგიაზე ძალზე უმნიშვნელოა და საჭიროა ახალი ატომური სადგურების მშენებლობა.

**იაპონიის** შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების გაზრდის წინააღმდეგ გამოდის ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა. ეს ცხადყო მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის მიერ მოწყობილმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ, რომლის დროს გამოკითხულთა 62-მდე პროცენტმა განაცხადა, რომ შეიარაღებული ძალების ახლანდელი დონე სრულიად საკმარისია დასახელებულ მოვალეობათა შესასრულებლად. ახლანდელ დონეზე სამხედრო ბიუჯეტის დატოვების [illegible] მისი შემცირების საჭიროებას დაუჭირა მხარი გამოკითხულთა 82 პროცენტმა, ხოლო 8,1 პროცენტი მისი მომატების მომხრეა.

**პარიზის** „ბრუსეს" საავადმყოფოში ქირურგებმა ჟან-პოლ კუეტიმ და დიდიე უსენმა გააკეთეს სამი ორგანოს ერთდროულად გადანერგვის უნიკალური ოპერაცია: ათი წლის ბიჭუნას ერთდროულად გადაუნერგეს ტრაგიკული შემთხვევის შედეგად დაღუპული სხვა ბიჭის გული, ფილტვები და ღვიძლი. ახლა ბიჭი თავს კარგად გრძნობს.

## სოფელი



# რაზე ისაუბრეს დილის თათბირზე

**როგორც** ყოველთვის, გაგრის ზონის სოფელ სალმეს კოლმეურნეობა „მეგობრობის" თავმჯდომარის დავით ერქვანიას კაბინეტში შეიკრიბნენ ბრიგადირები, ეკონომისტები, გამგეობის წევრები. რაზე ისაუბრეს უშუალოდ იმ დღეს, როცა მიწათმოქმედებთან სტუმრად იყო საქინფორმის კორესპონდენტი?

ეკონომიკურ სამსახურში გვაცნობეს, რომ, თუ შარშან მეურნეობის შემოსავალმა მილიონ-ნახევარ მანეთს გადააჭარბა, წელს მეტი რენტაბელობაა მოსალოდნელი. მებოსტნეებმა მიზნად დაისახეს ათას ტონაზე მეტი ბოსტნეულის პროდუქცია მიიღონ. სალმედან სავაჭრო ქსელში და მისი შემოგარენის ჯანმრთელობის კურორტებში გაიგზავნება 600 ტონა ყურძენი, დიდძალი პამიდორი, კიტრი, ბოლოკი, ახალი კარტოფილი და რძის პროდუქცია. შრომობს მეგობრული კოლექტივი.

**ირაკლი ჩოხონელიძის** ფოტო და ტექსტი.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

## მედიცინა

# რევმატოლოგთა ჟენევის კონგრესზე

**ევროპის** ცენტრში, შვეიცარიის ულამაზეს დედაქალაქ ჟენევაში გაიმართა რევმატოლოგთა მე-4 მსოფლიო კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა მსოფლიოს 60-ზე მეტი ქვეყანა და 1000-ზე მეტი დელეგატი. აღსანიშნავია, რომ კონგრესზე ცალკე ქვეყნად იქნა წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკა. მეცნიერთა ამ ფორუმის მთავარი სპონსორი გახლდათ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია.

კონგრესი მიეძღვნა რევმატიული ჯგუფის დაავადების მკურნალობის პრობლემებს.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერები: კონგრესის პრეზიდენტი ალდო ბერტლი (მილანი), ზეგონდი (ჟენევა), ნაკაიამა (ტოკიო), ევროპის რევმატოლოგთა ლიგის პრეზიდენტი ბარნესი, აფრიკის რევმატოლოგთა ლიგის პრეზიდენტი ხადიდი და სხვ.

ფორუმი გახსნა უნივერსიტეტის პროფესორმა ალდო ბერტელმა. საქართველოს რესპუბლიკის დელეგაციის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოვთქვი და მისალმების ტექსტი გადავეცი პრეზიდიუმსა და პრესცენტრს.

რაოდენ სასიხარულოა, რომ ჩვენი დელეგაცია კონგრესზე წარსდექით ქართული პრეპარატით — პლაფერონით. იგი დამზადებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ბახუტაშვილის მიერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში.

საინტერესო იყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამედიცინო გენეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელის ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ადამაშვილის მოხსენება (პროფ. თ. ჭურაძესთან ერთად) რომელიც შეეხებოდა რევმატოიდული ართრიტით აქტივიხით მკურნალობის საკითხებს.

ჩემი მეორე მოხსენება (გ. ჩახუნაშვილთან ერთად) მიეძღვნა გულსისხლძარღვთა სისტემის დაზიანების ფუნქციურ მაჩვენებლებს დინამიკაში, რევმატოიდული ართრიტით და სისტემური წითელი მგლურათი დაავადებულ ბავშვებში.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატ დ. ტაბუცაძის შრომა (პროფ. ც. კარტოზიასთან ერთად) ეხებოდა ლიზოსომური ფერმენტების აქტივობის განსაზღვრის მნიშვნელობას რევმატიული ჯგუფის დაავადებათა დროს ბავშვთა ასაკში.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ლ. კაჭარავას შრომა ეხებოდა ნეიროპეპტიდების განსაზღვრას ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებისას ექსპერიმენტში. შრომა თეორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

ჩვენს დელეგაციასა და ზოგიერთ ქვეყანას (იტალია, იაპონია, ესპანეთი, საფრანგეთი, იუგოსლავია, ფინეთი, აშშ) შორის დამყარდა საქმიანი კონტაქტები.

ი. ქვაჩაძე,
თბილისის ხან. სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრის გამგე, პედიატრთა რესპუბლიკური საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი.

## ხელოვნება

# „ხერთვისის“ თანადგომა სჭირდება

**ბოლო** ერთი თვის მანძილზე ანსამბლმა „ხერთვისმა“ ფილარმონიის დიდ დარბაზში სამჯერ გამართა საქველმოქმედო კონცერტი და შემოსული თანხა მიწისძვრისაგან დაზარალებულ რაიონებს გადაურიცხა.

ვინც ეს კონცერტები ნახა, არ დაავიწყდება ლამაზ და მრავალფეროვან კოსტუმებში გამოწყობილი ტანმოლტილი ჭაბუკები და ქალიშვილები, შესანიშნავად დადგმული ცეკვები, მოცეკვავეთა მაღალ პროფესიონალიზმამდე ასული ოსტატობა, და რაც მთავარია, საზეიმო და ამაღლებული განწყობილება.

ქართული ხალხური ცეკვის სახალხო ახალგაზრდული ანსამბლი „ხერთვისი“ 1985 წელს ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ საწყისებზე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების ჯემალ სამხარაულის, ზაირა ბასილაშვილის და, აგრეთვე, გივი საგინაშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლს იმთავითვე უამრავი დაბრკოლებები გადაეღობა წინ: უსახსრობა, შე-

რიშო კონცერტით მ...
წინაშე და დიდი მოწო...
სახურა; ამის საპასუხ...
ბლი 20 დღით გაიგზა...
ნგრადში თვითმოქმედ...
ტივების ფესტივალზე...
წარმატებით გამოსვლ...
ანსამბლი წარადგინეს...
ანსამბლის წოდების...
ლად და ბოლოს, 198...
სამბლს ეს საპატიო წ...
ნიჭა.

მისი არსებობის ...
ხანგრძლივი ისტორიი...
ლმა ბევრის გაკეთება...
მონაწილეობა მიიღო ...
ყელა ზეიმზე, ჩაატა...
რტები პერსონალური...
რებისათვის, მოემსახ...
რაიონებს, ზაფხულობ...
და ზოლში ცხვარიჭამი...
დასასვენებელ სახლ...
წლის განმავლობაში ...
უწევდა თურქეთიდან ...
ქართველ ბავშვებს, ...
მათ ეროვნულ ცეკვებ...
ებს, დაასაჩუქრა ისინ...
ლური ტანსაცმლით.



## ქველმოქმედება

...„რასაცა გასცემ შენია“... რუსთაველის ეს სიტყვები შესისხლხორცებული აქვს ქართველ კაცს და ამ შეგონებით მოქმედებს ყოველი კეთილშობილი მამულიშვილი. მათ შორის გახლავთ მხატვარი, საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს დიზაინერთა კავშირის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ბატონი ზურაბ წერეთელი, რომელსაც კარგად იცნობენ როგორც ჩვენში, ასევე უცხოეთშიც. იცნობენ არა მარტო როგორც ხელოვანს, არამედ ქველმოქმედს.

რამდენიმე დღეა, რაც ზ. წერეთელი ესპანეთიდან დაბრუნდა და დაბრუნდა ხელდამშვენებული — თავისი კუთვნილი თანხით მან შეიძინა სხვადასხვა მედიკამენტი, რომლებიც გადაეცა საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს, ჯანმრთელობისა და სოცი...

...დში, ჰუმანიტარული დახმარების მიზნით, გვსურს გადავცეთ მედიკამენტები: „ეუტენი“ (ამოქსიცილინის ბაზაზე) და „დოლმენი“ (ასპირინი ვიტამინი ც-თი) 10 ყუთის და 400 კოლოფის რაოდენობით.

ამასთან ერთად ფონდში ვრიცხავთ 1.000 ამერიკულ დოლარს“.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ კეთ...

...რი რამ ახალი მაქვს ფერწერაში, გამოფენის გამართვაზეც ვფიქრობ, ოღონდაც მშვიდობა იყოს!..

...მშვიდობა!..

აკი მშვიდობისა და სიკეთის სიმბოლოდ აღმართა მან ოკეანის გაღმა, ნიუ-იორკში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინ გოლიათური ფიგურა მხედრისა, რომელიც გამოხატავს სიკეთის მიერ...

...ვე დიდი ეკონომიკური სარგებელი გვექნება, რაც თავისუფალი საქართველოსთვის ფრიად ხელსაყრელი ამბავია. ბატონი გუბერნატორი შენობასაც კი გვთავაზობს საჩუქრად ქალაქის საქმიან უბანში, მაგრამ ამერიკასთან შემოქმედებითი ურთიერთობაც გრძელდება.

...საქმე ის არის, რომ გაისად...

...მხატვრობა, ჩვენი ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ქართული ნაწარმი და იქნება ქართული რესტორანიც. ასე რომ, უცხოელთათვის თვალსაჩინო გახდება დღევანდელი საქართველოს სახე. იქვე გაიმართება ხოლმე სიმპოზიუმები.

ვფიქრობ, ასეთი რამ ფრიად დაეხმარება მომავალ თავისუფალ საქართველოს იმ დიდ ოჯახში შესვლასა და დამკვიდრებაში, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ეწოდება. ხოლო პარიზის „ქართული სახლი“, რომლის შენობის რეკონსტრუქციაც მიმდინარეობს ამჯერად დესპრეს ქუჩაზე, ევროპის ერთიან ოჯახში დაუდებს საპატიო ადგილს ჩვენს რესპუბლიკას. იგი, ფაქტობრივად, ნიუ-იორკის ცენტრის ფილიალი იქნება.

დავინტერესდით, თუ რამდენად რეალურია დღესდღეობით ასეთი გრანდიოზული ჩანაფიქრის განხორციელება.

# გულითადი შესაწირავი

...ილი სიტყვით ის ქართველი კაციც, რომელმაც ესპანეთში ყოფნისას ხელი შეუწყო ბატონ ზურაბს ხსენებული წამლების შეძენასა და გამოგზავნაში. ეს გახლავთ ესპანეთს წარგზავნილი საბჭოთა კავშირის კონსული ბატონი ვლადიმერ ...

ბოროტის ძლევას! მაგრამ ხელოვანს ახალი ამოცანაც დაუსახავს. იგი ამჯერად მუშაობს ვრცელ პროექტზე, რომლის შემადგენელი ნაწილებია ნიუ-იორკში ქართული კულტურულ-ეკონომიკური განვითარების ცენტრის შექმნა ...

სრულდება ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთავი, რისთვისაც განზრახულია კოლუმბისათვის ძეგლის აგება. და ამ საპატიო საქმეში არჩევანი ისევ და ისევ ზურაბ წერეთელზე შეჩერდა. შეირჩა ადგილიც, ფრიად ეგზოტიკური და პოეტური — მდინარე ჰუძონის გაღ...

...სოლიდური თანხის ჩეკისა, მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ რომ გაიღეს მათვე.

— „ქალბატონო მანანა!

მოგახსენებთ, რომ მე და პროფესორ ვიქტორ გელოვანს მიწისძვრისაგან დაზარალებულთა ფონ...

...იმდენი საქმიანი ხალხი ტრიალებს მის კაბინეტში, რომ მისი სამუშაო დრო განუსაზღვრელია. ამიტომაც შევაპარე კითხვა: სახატავად თუღა იცლით მეთქი?

— კიი, გაეღიმა, მაინც ვახერხებ ხანდახან „ჩაკეტვას“, ზევ...

...დაარსდება თბილისშიც).

— ნიუ-იორკში ჩვენი ცენტრის ზუსტი დასახელება ასეთია: „რესპუბლიკა საქართველოს კულტურულ-სავაჭრო საინვესტიციო ცენტრი“, საიდანაც უთუოდ როგორც დიდი კულტურული, ასე...

...მწვერვალს, საიდანაც გვესახება დიდებული გადასახედი.

სწორედ ძეგლის კვარცხლბეკში, რომელიც იონური სვეტის ფორმისა იქნება, ვფიქრობ გავმართო ქართული დარბაზები, სადაც წარმოჩნდება თანამედროვე ...

...ცის შემოქმედებას მივუძღვენი, „დიდი ცა“ ერქვა. ეს იყო მისი ასპარეზის დასაწყისი — მართლაც დიდია ცის კაბადონი საქართველოდან ამერიკამდე!

ნანა ლვინეფაძე.

## განცხადება

# ტურიზმით დასაქმებული საზოგადოებისა და კოოპერატივების საყურადღებოდ!

**თურქეთის** რესპუბლიკაში გამსვლელი ტურისტული ჯგუფების რაოდენობა იმდენად გაიზარდა, რომ საბაჟო სამსახურის მისადგომებთან თითოეულ ჯგუფს 4-5 დღე-ღამე უხდება რიგში დგომა. გამეფებულია ანტისანიტარია, არის ეპიდემიის გაჩენის საშიშროება და სერიოზული ზიანი ადგება ეკოლოგიას. ამასთან ტურისტების აბსოლუტური უმრავლესობა უვალუტოდ იგზავნება, რის გამოც უზრუნველყოფილი არ არიან ღამის გასათევით, კვე-

ბის და სხვა აუცილებელი პირობებით. ასეთი ჯგუფების გასვლა თურქეთში დაკავშირებულია მოვლენებთან, რომლებიც მორალურ ზიანს აყენებენ ჩვენს რესპუბლიკას, უარყოფითად წარმოაჩენენ უცხოეთში საქართველოს მოქალაქეებს. ამიტომ უვალუტო ჯგუფების გაშვება სარფის ავტოგადასარბენზე დროებით შეზღუდულია.

იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც ვალუტით უზრუნველყოფენ ჯგუფებს, საბაჟოსთან მათი რიგების საკითხი უნდა გაარკვიონ საქართველოს საგარეო ეკონომიკური გაერთიანება „საქტერმინალის“ ბათუმის განყოფილებაში, რომლის მისამართია ქ. ბათუმი მარქსის ქ. № 1, ტელეფონი 2-00-04 (დილის 9.00 საათიდან 18.00 საათამდე).

**საქართველოს საგარეო ეკონომიკური გაერთიანება „საქტერმინალის“ ბათუმის განყოფილება.**

## საკუთარ სახლში

# „საუკეთესო ინგლისურენოვანი გაზეთებიდან“

**„ჯორჯია** ინდეპენდენტი“ — ასე ეწოდება დიდფორმატიან გაზეთს, რომელსაც ინგლისურ ენაზე პირველად უშვებს სრულიად საქართველოს საზოგადოება „არსი“. ძირითადად დასავლეთის მკითხველისათვის გათვალისწინებული გაზეთი შეიცავს ინფორმაციას საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესახებ.

ამ ახალ გამოცემაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ისტორიასა და ტრადიციებს, როგორც სამართლიანად აღნიშნა გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ვადიმ-ქრისტიან ჭყონიამ. „70 წლის მანძილზე ხომ საქართველოს, თუკი წარუდგენდნენ მას საზღვარგარეთელ მკით...

სოვეტოლოგმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორმა ბატონმა ჩარლზ ტიმბერლეიკმა, რომელიც დაინტერესდა რედაქციასთან კონტაქტების მოგვარებით, განაცხადა: „ეს არის საუკეთესო გაზეთი ინგლისურენოვან გაზეთებს შორის, რომლებიც საქართველოში და სსრ კავშირში გამოდის“. გაზეთის გაჩენა სრულიად საქართველოს საზოგადოება „არსის“ პრეზიდენტმა ლაშა ნადარეიშვილმა ასე ახსნა:

— ჩვენს საზოგადოებასთან „ჯორჯია ინდეპენდენტის“, ისევე როგორც დამოუკიდებელი საინფორმაციო სააგენტო „არს-პრესის“, გამომცემლობისა და სტამბის შექმნა ნაკარნახევია უწინარეს ყოვლისა მისწრაფებით ...

## კრიმინალური ქრონიკა

**10 მაისს** ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთთან, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე, ოთხმა დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის მუქარით გაძარცვეს ლიტვის რესპუბლიკის „რაფინვესტის“ ავტომანქანის მძღოლი, ვიტალი პარმედოვი. წაართვეს 500 მანეთი, ხოლო მის მეგობარს ნადრანიკ სარქისიანს, ერევნის კოოპერატივ „საბოს“ თავმჯდომარეს 2850 მანეთი, ოქროს ბეჭედი, საათი და ორი ბოთლი კონიაკი.

აქვე კაშინიოვის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლს ბოროტმოქმედებმა თავდასხმისას წაართვეს 10 მანეთი, ანატოლი ლისიცკის 25 მანეთი. მიაყენეს მათ ფიზიკური შეურაცხყოფა, ავტომანქანა კი დალეწეს.

10 მაისს, 2 საათზე, სოფელ ხამისქურის ტერიტორიაზე მ. ქარდავამ (უმუშევარმა) ორ დაუდგენელ ბოროტმოქმედთან ერთად ცეცხლსასროლი და ცივი ...

მხოლოდ სითბო და სიკეთე შეეძლო მიეღო.

სიტუაციები შეიცვალა. რესპუბლიკაში მომხდარი საერთო დანაშაულის 10-15 პროცენტი გზებზე მომხდარ ყაჩაღობასა და ძარცვებზე მოდის.

ყოველი დანაშაული უწინარესად ქართველისთვის არის საზიანო და სავალალო, მით უფრო დღეს, როცა საქართველოს ხვალინდელი დღე სავაჭრო და ეკონომიკურ ურთიერთთანამშრომლობაზეა დამოკიდებული. ჩანს,

ამას წინათ ქობულეთში ოთხმა დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ყაჩაღური თავდასხმა მოაწყო სირიიდან მომავალ სტუმრებზე. ავტომანქანა პირწმინდად გაძარცვეს, ხოლო ცოლ-ქმარს სცემეს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. გაოგნებულ სტუმრებს ღვთისმიერმა მგზავრმა უშველა, მილიციამდე მიაცილა...

დანაშაული დანაშაულად მოხდა, მაგრამ რა ვუყოთ ზნეობრივ მხარეს, რომელიც ხშირად ანგარიშგასაწევია.

...ოდ დღემდე რესპუბლიკის გზები და ტრასები კეთილმოუწყობელია. არ არის შესასვენებელი კემპინგები, სასტუმროები, ფასიანი ავტოსადგომები, ავტოგასამართი სადგურები. ერთი სიტყვით „ქურდს რა უნდა და ბნელი ღამე“, ისეა ჩვენი საქმე. ყოველივე ეს კი დამნაშავეთათვის ხელის შემწყობ პირობას წარმოადგენს.

ალბათ, გიმგზავრიათ ღამით დასავლეთიდან აღმოსავლეთში ცე...

ამ ბოლო დროს სამტრედიის რაიონის ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო მაგისტრალი სისტემატურად იკეტება ღამის განმავლობაში — (გართულებული ოპერატიული ვითარების გამო). 12 მაისს სამმა დაუდგენელმა ბოროტმოქმედმა ქალაქ სამტრედიის ტერიტორიაზე გააჩერეს ავტომანქანა „მოსკვიჩი“, რომელსაც მართავდა კისლოვოდსკელი დიმიტრი ანისიმოვი. გადაპრილი თოფებისა და დანის მუქარით მას მგზავრებთან ერთად წაართვეს 1200 მანეთი, მაგნიტოფონი, პირადი ნივთები და მიიმალნენ. სასწრაფოდ ამოქმედდა ოპერატიული ჯგუფი. იმ ღამესვე დააკავეს სამტრედიელი ზაზა გეფერიძე, ორმა მოასწრო გაქცევა.

გულსატკენია, რამეთუ დავკარგეთ მოყვასისადმი სიყვარული. უპირველესად კი ეს საკუთარი თავისადმი, ერისადმი უპატივცემულობაა. იცით, ხანდახან ვფიქრობ: ყველაფერი ეს ოჯახიდან მოდის, სადაც მოზარდს აკლდე...

# გზა მშვიდობისა, სტუმარო!

რომ არ დავზარალდეთ მორალურად თუ ეკონომიკურად, საჭიროა მილიციის ცალკეულმა სამსახურებმა გააძლიერონ და ...

ალბათ, საჭიროა ამ კატეგორიის დამნაშავეების მიმართ გამკაცრდეს კანონი. შემოვიღოთ სხვადასხვა ჯარიმები ან სასჯელის ...

...ნტრალურ მაგისტრალზე. უკუნეთი სიბნელე. გაუნათებელი გზები, აქა-იქ თუ ანათებენ ნათურები, ისიც მხოლოდ ქალაქის ან რაიონის შესასვლელთან. ხანდახან ...

...და ქართველი კაცი.

არადა ეს სტუმარი არ გველოდა არასდროს, რადგან სავაჭრო თუ კულტურული ურთიერთობის მაგისტრალიც საქართველოზე გადიოდა, არ იყო შიში. გზად მომავალმა უცხოელმა კარგად იცოდა, რომ მას ქართველისგან ...

...ლი უცხოეთიდან ან მეზობელი რესპუბლიკებიდან მომავალი სტუმრებია. ისინი სხვადასხვა მისიით ჩამოდიან ჩვენს რესპუბლიკაში და ამ დროს ჩვენ შეურაცხვყოფთ მათ პიროვნებას, ვძარცვავთ, ვართმევთ უკანასკნელ კაპიკსაც კი.

...კის ავტოინსპექციის სამმართველოს საგზაო-საპატრულო სამსახურის განყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.

მაგისტრალი ყოველთვის სირთულეებით ხასიათდებოდა. უწინარესად ალბათ აქ შექმნილი პირობების გამო. ჩვენდა სამწუხარ...

## კონკურსი

# შეჯამდა შედეგები

**შეჯამდა** საქართველოს სახალხო ფრონტთან არსებული საქართველოს ზღვისპირეთის დამცველთა ასოციაცია „აიეტის“ (თავმჯდომარე — ჰენრი კუპრაშვილი) მიერ გამოცხადებული პლაკატების საბავშვო ნამუშევრების კონკურსი, რომლის თემატიკა შეეხებოდა კატასტროფამდე მისულ საქართველოს ზღვისპირეთის ბუნებრივი და ყოფითი გარემოს დაცვის პრობლემას.





...აშვილი, თემურ ყვითელაშვილი. როკ ჯგუფები: „პრიზი“, „ოკეანე“, „სახლი“, „რეცეპტი“, „შანსი“, „ქიში და ინტელიგენცია“, „მწირი“, „ჯუკ ბოქსი“, „მემენტო მორი“, „მორიტური“, „ნატვრის ხე“, „ვნება“ და ეროვნული გვარდიის ორკესტრი.

...მოსაწვევი ბარათების გადარიცხვით შეძენას, ვთხოვთ დაგვიკავშირდნენ ტელერადიო დეპარტამენტში ტელეფონებით:

36-83-76 — რადიო გადაცემა „როკი ნაშუაღამევს“.

36-88-33 — ახალგაზრდული რედაქცია.

### ინფორმაცია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის“ სხდომის შესახებ

**გაიმართა** „დემოკრატიული ცენტრის“ მორიგი სხდომა, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. ფრაქციის თავმჯდომარედ არჩეულია ნოდარ ნათაძე, თანათავმჯდომარედ — რომან გოცირიძე, მდივნად — ანზორ სიჭინავა. ჩამოყალიბდა ფრაქციის სამუშაო სტრუქტურები და აირჩიეს თავმჯდომარეებად.

პოლიტიკური კომისიისა — დავით ბერძენიშვილი

იურიდიული კომისიისა — თედო ნინიძე

ჰუმანიტარულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიისა — ელდარ შენგელაია

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის კომისიისა — თამაზ დიასამიძე

აგრარული კომისიისა — პაატა კოლუაშვილი

ჯანდაცვისა და სოციალური საკითხების კომისიისა — გივი ლობჟანიძე;

თავდაცვის კომისიისა — აკაკი ბობოხიძე

„დემოკრატიული ცენტრის“ სამდივნო.

ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 13 ივნისს.

## მგზავრი

# გვიან ღამით, მიწისქვეშეთიდან...

**მრავალი** წელია, რაც მეტროპოლიტენი საზოგადოების სამსახურშია. თბილისში იგი 1966 წლიდან გამუდმებულად მუშაობს და ისე, როგორც ყველგან, მგზავრთა გადაყვანის საუკეთესო საშუალებაა. ამჟამად ლაპარაკი არ გვექნება მის უპირობდ ხასიათო შიხიაზე იმდენად, რამდენადაც საქმე უფრო კრიმინოგენულ მხარეს ეხება, რის გამოც რამდენიმე კითხვით მივმართავთ ქალაქ თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს მეტროპოლიტენის განყოფილების უფროსს მილიციის პოდპოლკოვნიკს ტიტე ლეჟავას.

— ბატონო ტიტე, რა თქმა უნდა, კარგად მოგეხსენებათ ბოლო დროს როგორ იმატა დამნაშავეობამ მთელ საქართველოში და რა სახეები სახე მიიღო მან თბილისის ქუჩებში. მეტროპოლიტენი ყველაზე ხალხმრავალი და გვიანობამდე მომუშავე ტრანსპორტია. ალბათ, ყველას აინტერესებს, რა მდგომარეობაა ამ მხრივ მის მიწისქვეშა სადგურებში.

მეტი საათის შემდეგ ტრანსპორტის მხრივ დიდი პრობლემა ექმნება ქუჩაში შემორჩენილ კაცს, იკლებს ან სრულიად წყდება ავტობუსების მოძრაობა, ჭირს ტაქსი და ასეთ დროს ერთადერთი საშუალებაა მეტრო. უამრავი ხალხი მოგვაწყდა, შეიძლება ითქვას, რომ ამდაგვარად გადატვირთული არასოდეს ყოფილა მეტროპოლიტენი. ამის გამო ...

ვუქმნათ ხალხს უსაფრთხო მგზავრობის პირობები, რადგან დანაშაულმა ჩვენთანაც საგრძნობლად იმატა. ამ ბოლო ხანებში იყო დაჭრის, ქურდობის და ხულიგნობის რამდენიმე ფაქტი. მოგეხსენებათ, თუ ფხიზელი არა ხარ, არ შეიძლება მეტროპოლიტენით სარგებლობა. ჩვენ კი უნებლიედ დარღვევასაც არ ვერიდებით. ვიცით გვიანაა, სხვა ტრანსპორტი აღარ მუშაობს, ტაქსი არ უჩერდება ნასვამ კაცს, გამოსაფხიზლებელი ქალაქში დაკეტილია და იძულებული ვხდებით გავატაროთ ასეთი მგზავრები. თუ გადავხედავთ აღნიშნულ დანაშაულობებს, თითქმის სამოცდაათი პროცენტი არაფხიზელ მდგომარეობაშია ჩადენილი, რაც ...

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380096, თბილისი, შ. კოსტავას ქ. № 14.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-73-24.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხიმშიაშვილის ქ. № 29.

ინდექსი 68434